



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი:ო87.8721342001

თარიღი:08/12/2021

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ოქმი

ოქმი № 15

ქ. ახმეტა

3 დეკემბერი, 2021 წელი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ, ახმეტის #18 საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გაცემული საკრებულოს დროებითი მოწმობის საფუძველზე საკრებულოში დარეგისტრირებული წევრები.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. იოსები ქარუმაშვილი.
2. ლევან ვახეიშვილი.
3. შორენა ხოხობაშვილი.
4. გიორგი ქიბროჭაშვილი.
5. გიორგი ბართიშვილი.
6. თამარ ყვინიშვილი.
7. გელა ონიაშვილი.
8. თამაზ ბორჩაშვილი
9. ხათუნა იჩუაიძე.
10. გელა შაშიაშვილი.
11. კახა მამულაშვილი.
12. ზეზვა უძილაური.
13. ელდარ ბალაკაშვილი.
14. ბესარიონ კაიშვილი.
15. ზეზვა ფიცხელაური.
16. გიორგი მამუჩარაშვილი.

17. რევან გახუაშვილი.
18. დავით ავაზაშვილი.
19. შაქრო ტერტერაშვილი.
20. გელა შორთიშვილი.
21. ლუიზა მუთოშვილი.
22. გივი უძილაური.
23. ელენე მარკოზაშვილი.
24. ფირუზ შიომღვიმელი.
25. კობა მაზიაშვილი.
26. სოსო ბაბუღაიძე.
27. ეთერ ფეტივაშვილი.
28. კარლო მუხაური.
29. ლევან ჭიჭიკოშვილი.
30. თინათინ მოზაიძე. („გახარია - საქართველოსთვის“)

სხდომა გაიხსნა 12⁰⁰ საათზე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა გახსნა #18 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მ. იუკურიძემ, რომელმაც ახმეტის მუნიციპალიტეტის ახალარჩეული საკრებულოს დეპუტატებს გააცნო, 2021 წლის 2 ოქტომბრის და 30 ოქტომბრის არჩევნების (მეორე ტური) შედეგები (თან ერთვის შემაჯამებელი ოქმის ასლები). რის შემდეგაც სხდომის წარმართვის უფლებამოსილება გადასცა საკრებულოს უხუცეს წევრს - თამაზ ბორჩაშვილს.

დღის წესრიგი

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის ახალარჩეული საკრებულოს სხდომის გახსნა.

/ახმეტის №18 საოლქო საარჩევნო

კომისიის თავმჯდომარე მინდია იუკურიძე/.

2. ახმეტის №18 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება.
3. სამანდატო დროებითი კომისიის შექმნა.
4. ახმეტის მუნიციპალიტეტის ახალარჩეული საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობა.
5. საკრებულოს ფრაქციების შექმნა (შესვენება 30 წუთი).
6. ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის შექმნა.
7. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა.
8. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევა.
9. საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და ფრაქციების პროპორციული წარმომადგენლობის კვლევების განსაზღვრა.

/მომხს. საკრებულოს თავმჯდომარე/.

10. საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის ცნობად მიღება.

11. საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების არჩევა.

სხდომის თავმჯდომარემ თ. ბორჩაშვილმა დამსწრე დეპუტატებს მოახსენა, რომ საკრებულოს სხდომის წარმართვისათვის საჭიროა ავარჩიოთ სამანდატო დროებითი კომისია. რეგლამენტით გათვალისწინებულია დროებითი კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს 3 წევრით.

სხდომის თავმჯდომარე თ. ბორჩაშვილმა სთხოვა დეპუტატებს დაესახელებინათ კანდიდატები სამანდატო დროებითი კომისიის შემადგენლობაში.

სამანდატო დროებითი კომისიის შემადგენლობაში დასახელდა 3 კანდიდატურა:

1. გელა შაშიაშვილი.
2. კახა მამულაშვილი.
3. გიორგი მამუჩარაშვილი.

ჩატარდა კენჭისყრა:

მომხრე - 18

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს ნაციონალური მოძრაობის დეპუტატებმა.

სამანდატო დროებითმა კომისიამ თავმჯდომარედ აირჩია გელა შაშიაშვილი რომელმაც საარჩევნო კომისიის მიერ გადმოცემული მასალების საფუძველზე დაადასტურა ქვემოთ ჩამოთვლილი დეპუტატების არჩევა:

პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული საკრებულოს წევრები:

1. იოსები ქარუმაშვილი.
2. ლევანი ვახეიშვილი.
3. შორენა ხოხობაშვილი.
4. გიორგი ქიბროწაშვილი.
5. გიორგი ბართიშვილი.
6. თამარ ყვინიშვილი.
7. გელა ონიაშვილი.
8. თამაზ ბორჩაშვილი.
9. ხათუნა იჩუაიძე.
10. გელა შაშიაშვილი.
11. შაქრო ტერტერაშვილი.
12. გელა შორთიშვილი.
13. ელენე მარკოზაშვილი.
14. გივი უძილაური.
15. ფირუზ შიომღვიმელი.
16. ლუიზა მუთოშვილი.

17. კობა მაზიაშვილი.
18. ლევან ჭიჭიკოშვილი.
19. ეთერ ფეტვიაშვილი.
20. თინათინ მოზაიძე.

მაჟორიტარული სისტემით არჩეულ იქნენ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები:
„ქართული ოცნება“

1. კახა მამულაშვილი
2. გიორგი მამუნარაშვილი.
3. დავით ავაზაშვილი.
4. რევაზ გახუაშვილი.
5. ზეზვა უძილაური.
6. ბესარიონ კაიშვილი.
7. ელდარ ბაღაკაშვილი.
8. ზეზვა ფიცხელაური.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

1. კარლო მუხაური.
2. სოსო ბაბულაიძე.

სამანდატო დროებითი კომისიის დასკვნის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის საკითხი.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს ყველა დეპუტატმა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 18

მონაწილეობა არ მიიღო ნაციონალური მოძრაობის და „გახანია - საქართველოსთვის“ წევრებმა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №38 „2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების შედეგად არჩეული ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების ცნობის შესახებ;

გამოცხადდა 30 წუთი შესვენება.

საკრებულოს წევრებმა ზეზვა ფიცხელაურმა და შაქრო ტერტერაშვილმა სამანდატო კომისიას წარუდგინეს დოკუმენტაციები ფრაქციების „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ის შექმნის შესახებ.

სამანდატო კომისიამ წარმოადგინა დასკვნა რომელშიც ეთანხმება ფრაქციების დარეგისტრირებას.

დარეგისტრირდა ორი ფრაქცია.

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე - ზეზვა ფიცხელაური.

მოადგილეები: თამარ ყვინიშვილი, თამაზ ბორჩაშვილი, ელდარ ბალაკაშვილი, ზეზვა უძილაური, გიორგი ბართიშვილი და ხათუნა იჩუაიძე.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე - შაქრო ტერტერაშვილი.

მოადგილეები: გელა შორთიშვილი, კარლო მუხაური და გივი უძილაური.

თამაზ ბორჩაშვილმა დამსწრე დეპუტატებს მოახსენა, რომ საჭიროა ავირჩიოთ ხმის დამთვლელი კომისია, რომელიც შედგება სამი წევრისაგან.

ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის შემადგენლობაში დასახელდა სამი კანდიდატურა:

1. გელა შაშიაშვილი.
2. რევაზ გახუაშვილი.
3. გიორგი ბართიშვილი.

საკრებულოს უმრავლესობა დაეთანხმა წარმოდგენილ კანდიდატებს.

ხმის დამთვლელმა კომისიამ თავისი შემადგენლობიდან თავმჯდომარედ აირჩია - გელა შაშიაშვილი.

ნაციონალური მოძრაობის და „გახარია - საქართველოსთვის“ დეპუტატებმა განაცხადეს, რომ არ იღებენ კენჭისყრაში მონაწილეობას და სხდომა დატოვეს.

სხდომის თავმჯდომარე თ.ბორჩაშვილმა სთხოვა დეპუტატებს დაესახელებინათ საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე კანდიდატი.

გიორგი ქიბროწაშვილმა, გელა შაშიაშვილმა და გიორგი ბართიშვილმა საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დაასახელეს იოსები ქარუმაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დასახელებულ კანდიდატს იოსებ ქარუმაშვილს, თანახმაა თუ არა კენჭი იყაროს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე, რაზეც თანხმობა მიიღო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი: ი. ქარუმაშვილის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა ბიულეტენების გამოყენებით.

რეგისტრაცია გაიარა 17-მა საკრებულოს წევრმა.

ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ დაითვალა ხმები და კომისიის თავმჯდომარემ გამოაცხადა შედეგი:

მომხრე - 16

გაბათილდა 1 ბიულეტენი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა იოსებ ქარუმაშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №39 „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ იოსებ ქარუმაშვილის არჩევის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს უხუცესმა წევრმა თამაზ ბორჩაშვილმა დარბაზში დაიკავა ადგილი, ხოლო სხდომას გაუძღვა საკრებულოს ახლადარჩეული თავმჯდომარე იოსები ქარუმაშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ იოსებ ქარუმაშვილმა, მადლობა გადაუხადა დეპუტატებს მხარდაჭერისა და ნდობის გამოცხადებისათვის და მათაც მიულოცა საკრებულოს წევრობა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე კანდიდატად დაასახელა დავით ავაზაშვილი.

კითხვაზე სურს თუ არა აღნიშნული პოზიციის დაკავება, დასახელებულმა კანდიდატმა თანხმობა განაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დავით ავაზაშვილის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩევის შესახებ.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

რეგისტრაცია გაიარა 17-მა საკრებულოს წევრმა.

ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ დაითვალა ხმები და კომისიის თავმჯდომარემ გამოაცხადა შედეგი: 17 ხმით საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩეულ იქნა დავით ავაზაშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №40 ,, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ;

საკრებულოს თავმჯდომარემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე კანდიდატად დაასახელა გიორგი ქიბროწაშვილი.

კითხვაზე სურს თუ არა აღნიშნული პოზიციის დაკავება, დასახელებულმა კანდიდატმა თანხმობა განაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი გიორგი ქიბროწაშვილის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

რეგისტრაცია გაიარა 17-მა საკრებულოს წევრმა.

ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ დაითვალა ხმები და კომისიის თავმჯდომარემ გამოაცხადა შედეგი: 17 ხმით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა გიორგი ქიბროწაშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №41 ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;

საკრებულოს თავმჯდომარემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე კანდიდატად დაასახელა გელა ონიაშვილი.

კითხვაზე სურს თუ არა აღნიშნული პოზიციის დაკავება, დასახელებულმა კანდიდატმა თანხმობა განაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი გელა ონიაშვილის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

რეგისტრაცია გაიარა 17-მა საკრებულოს წევრმა.

ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ დაითვალა ხმები და კომისიის თავმჯდომარემ გამოაცხადა შედეგი: 17 ხმით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა გელა ონიაშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №42 ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;

სხდომა გაგრძელდა დღის წესრიგის შესაბამისად.

მე-9 საკითხი ,,საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და ფრაქციების პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრა;

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების სრული შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:

ა) იურიდიულ საკითხთა კომისია 9 წევრი;

ბ) საფინანსო-საბიუჯეტო კომისია 10 წევრი;

გ) ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია 10 წევრი;

დ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია 9 წევრი;

ე) სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია 9 წევრი.

2. საკრებულოს თითოეულ კომისიაში ფრაქციების პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - კომისიის სრული შემადგენლობის არაუმეტეს სამი მესუთედისა;

ბ) ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - კომისიის სრული შემადგენლობის არაუმეტეს ორი მესუთედისა;

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №43 „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“

საკრებულოს თავმჯდომარემ მიმართა ფრაქციის თავმჯდომარეს „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის სახელით დაესახელებინა კომისიების პერსონალური შემადგენლობის კანდიდატები.

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარემ ზეზვა ფიცხელაურმა „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის სახელით იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე კანდიდატად დაასახელა გელა შაშიაშვილი.

კითხვაზე სურს თუ არა აღნიშნული პოზიციის დაკავება, დასახელებულმა კანდიდატმა თანხმობა განაცხადა.

ხმის დამთვლელ კომისიაში მოხდა გელა შაშიაშვილის ნაცვლად კახა მამულაშვილის ჩანაცვლება.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა ბიულეტენების გამოყენებით.

რეგისტრაცია გაიარა 17-მა საკრებულოს წევრმა.

დასახელებულმა კანდიდატმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ დაითვალა ხმები.

17 - ბიულეტენი

მომხრე -17

იურიდიული კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გელა შაშიაშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №44 „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარემ, საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე კანდიდატად დაასახელა კახა მამულაშვილი.

კითხვაზე სურს თუ არა აღნიშნული პოზიციის დაკავება, დასახელებულმა კანდიდატმა თანხმობა

განაცხადა.

ხმის დამთვლელ კომისიაში მოხდა კახა მამულაშვილის ნაცვლად გიორგი მამუჩარაშვილის ჩანაცვლება.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა ბიულეტენების გამოყენებით.

რეგისტრაცია გაიარა 17-მა საკრებულოს წევრმა.

დასახელებულმა კანდიდატმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ დაითვალა ხმები.

17 - ბიულეტენი

მომხრე -17

საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კახა მამულაშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №45 „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარემ, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე კანდიდატად დაასახელა რევაზ გახუაშვილი.

კითხვაზე სურს თუ არა აღნიშნული პოზიციის დაკავება, დასახელებულმა კანდიდატმა თანხმობა განაცხადა.

ხმის დამთვლელ კომისიაში მოხდა რევაზ გახუაშვილის ნაცვლად გიორგი მამუჩარაშვილის ჩანაცვლება.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა ბიულეტენების გამოყენებით.

რეგისტრაცია გაიარა 17-მა საკრებულოს წევრმა.

დასახელებულმა კანდიდატმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ დაითვალა ხმები.

17 - ბიულეტენი

მომხრე -17

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა რევაზ გახუაშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №46 „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარემ, სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე კანდიდატად დაასახელა გიორგი მამუჩარაშვილი.

კითხვაზე სურს თუ არა აღნიშნული პოზიციის დაკავება, დასახელებულმა კანდიდატმა თანხმობა განაცხადა.

ხმის დამთვლელ კომისიაში მოხდა გიორგი მამუჩარაშვილის ნაცვლად რევაზ გახუაშვილის ჩანაცვლება.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა ბიულეტენების გამოყენებით.

რეგისტრაცია გაიარა 17-მა საკრებულოს წევრმა.

დასახელებულმა კანდიდატმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ დაითვალა ხმები.

17 - ბიულეტენი

მომხრე -17

სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გიორგი მამუჩარაშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №47,, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარემ, სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე კანდიდატად დაასახელა ბესარიონ კაიშვილი.

კითხვაზე სურს თუ არა აღნიშნული პოზიციის დაკავება, დასახელებულმა კანდიდატმა თანხმობა განაცხადა.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა ბიულეტენების გამოყენებით.

რეგისტრაცია გაიარა 17-მა საკრებულოს წევრმა.

დასახელებულმა კანდიდატმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ხმის დამთვლელმა დროებითმა კომისიამ დაითვალა ხმები.

17 - ბიულეტენი

მომხრე -17

სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბესარიონ კაიშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №48,, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

საკრებულოს თავმჯდომარემ მიულოცა ახლადარჩეულ კომისიის თავმჯდომარეებს დაკავებული თანამდებობა და უსურვა ნაყოფიერი და წარმატებული საქმიანობა.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 15:10 საათზე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე: იოსები ქარუმაშვილი

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

